შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ"

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

23 იანვარი 2019 წელი

№ 18/36

ფმზ.: №1

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით

გათვალისწინებული პროგრამის – „ინფრასტრუქტურისა და

მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება"

მესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სარჩევი

ტერმინთა განმარტებები ... 3
შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები ... 4
შესავალი ... 8
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ... 8
აუდიტორის პასუხისმგებლობა ... 8
აუდიტის საგანი ... 8
აუდიტის მასშტაბი ... 8
გამოყენებული კრიტერიუმები ... 9
აუდიტის მიზანი ... 9
აუდიტის მეთოდოლოგია ... 9
ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ ... 10
ძირითადი ტექსტი ... 11
შესყიდვების დაგეგმვა-განხორციელება ... 14
საბავშვო ატრაქციონების შესყიდვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები ... 14
სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების შესყიდვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები ... 16
გარე განათების შესყიდვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები ... 18
კონკურენციის შეზღუდვასთან დაკავშირებული საკითხები ... 19
ხელშეკრულებების შესრულების მდგომარეობა ... 22
ქალაქის დასუფთავების შესყიდვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები ... 23
ურთიერთგამომრიცხავი სამუშაოების შესყიდვა ... 24
სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები ... 25
ხე-მცენარეების შესყიდვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები ... 28
გაუთვალისწინებელი ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები ... 29
გამარტივებული წესით შესყიდულ სამშენებლო სამუშაოებთან
დაკავშირებული ნაკლოვანებები ... 32

ტერმინთა განმარტებები

მუნიციპალიტეტი – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი;

მერია – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;

ორგანიზაციები – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას დაქვემდებარებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები.

შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის – „ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება“ შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:

● ცალკეული პროგრამების ფარგლებში საბიუჯეტო პარამეტრები არასწორადაა განსაზღვრული, რამაც საბიუჯეტო სახსრების აუთვისებლობა განაპირობა. ამასთანავე, შეფასების ინდიკატორების განუსაზღვრელობა არ იძლევა მიღწეული შედეგების გაზომვისა და შესაბამისად, პროგრამის ეფექტიანობის შეფასების საშუალებას, რაც საბიუჯეტო რესურსის სწორად გადანაწილებისა და ეფექტიანად გამოყენების მთავარი პირობაა.

● სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე გამოვლენილია ფაქტები, რომელთა თანახმად, არ ჩატარებულა ბაზრის კვლევა და შეიზღუდა კონკურენცია. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის ინტერესების საზიანოდ არ არის გამოყენებული ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილება, საგარანტიო ვადაში უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამოსწორების მოთხოვნასთან დაკავშირებით. აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების არარაციონალურ ხარჯვასა და სატენდერო პირობების კონკრეტული მიმწოდებლის ინტერესებზე მისადაგების რისკებზე მიუთითებს.

● ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ქალაქის დასუფთავების მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით დანერგილმა კონტროლის მექანიზმებმა ვერ უზრუნველყო სახელშეკრულებო ვალდებულების არასათანადოდ შესრულების დროული გამოვლენა და სათანადო რეაგირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებელზე თანხები გადარიცხულია სახელშეკრულებო პირობების არასრულად და არასათანადოდ შესრულების პირობებში.

● მერიისა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციის არაკოორდინირებულმა საქმიანობამ განაპირობა ურთიერთშეუსაბამო სამუშაოთა შესყიდვა და სულ მცირე, 3,880 ლარის არამიზნობრივი ხარჯვა. ამასთანავე, შენობა-ნაგებობების ფასადებისა და კედლების დასუფთავება-გაწმენდის სამუშაოებისა და ბათუმის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაციის (სამღებრო) სამუშაოების შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულება ურთიერთგამომრიცხავია და შესაძლოა, შეუსრულებელი სამუშაოების ანაზღაურებისა და თაღლითობის რისკებს შეიცავდეს.

● ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისა და ა(ა)იპ – „ბათუმის კორპუსის“ შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებაზე არასათანადო მონიტორინგის შედეგად, შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე, ანაზღაურებულია უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები, რაც საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიან ხარჯვაზე მიუთითებს.

● ა(ა)იპ – ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურის შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს მიღებული აქტივების სრულყოფილ აღრიცხვასა და მიწოდებულ აქტივებთან მიმართებით არსებული ხარვეზების დროულ გამოვლენასა და სათანადო რეაგირებას, რაც საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანად ხარჯვის რისკებს წარმოშობს.

● ა(ა)იპ – ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურის შესაბამისი პასუხიმგებელი პირების მიერ, გაუთვალისწინებელი ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით არსებული რეგულაციების გაუთვალისწინებლობის გამო, შემსრულებელ კომპანიას ზედმეტად ჩაერიცხა შენობა-ნაგებობის სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოების ღირებულება.

● ა(ა)იპ – ბათუმის სასაფლაოების მიერ შექმნილმა შიდა კონტროლის სისტემამ ვერ უზრუნველყო უხარისხოდ შესრულებული საპროექტო სამუშაოების დროული გამოვლენა და სათანადო რეაგირება, რის გამოც ვერ ხერხდება 3,390,000 ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტის ექსპლუატაციაში შესვლა. ამასთანავე, მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის არასრულფასოვნად შესწავლის შედეგად გაწეულია 706,274 ლარის არაეფექტიანი ხარჯი, რამაც 2018 წლისათვის 87,197 ლარის ღირებულების სამუშაოების დამატებით შესყიდვა განაპირობა და შესაძლოა, ბიუჯეტიდან თანხების დამატებით გამოყოფის საფუძველი გახდეს.

წინამდებარე ანგარიშში განხილულია აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები ვრცელი ფორმით და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

რეკომენდაცია N1: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს, რათა პროგრამების საბიუჯეტო პარამეტრები განისაზღვროს არსებული ფაქტობრივი გარემოებების სიღრმისეული შესწავლისა და ანალიზის შედეგების შესაბამისად. ამასთანავე, პროგრამებისა და ქვეპროგრამების დონეზე შემუშავდეს შედეგების შეფასების გაზომვადი ინდიკატორები, რომელთა გამოყენებით უნდა შეფასდეს პროგრამების ეფექტიანობა, რაც მომდევნო ფისკალური წლის ბიუჯეტის შემუშავების საფუძველი უნდა გახდეს.

რეკომენდაცია N2: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ და მისდამი დაქვემდებარებულმა ორგანიზაციებმა საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის უზრუნველყოფისათვის კონკურენტუნარიანი ტენდერების ჩატარების მიზნით, სათანადოდ და დროულად განახორციელოს შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოები. კერძოდ, სრულყოფილად ჩატარებული ბაზრის კვლევის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნეს, ტექნიკური მახასიათებლებისა და სავარაუდო ღირებულების ოპტიმალური განსაზღვრა. ამასთანავე, გამოკვლეულ იქნეს სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვის და შესრულების ეტაპზე არსებული ხარვეზების გამომწვევი მიზეზები და პასუხისმგებელი პირების მიმართ გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია N3: სამუშაოების შესყიდვისას დაინერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც მშენებლობის პროცესის სისტემატური მონიტორინგის საშუალებით, დროულად და სრულად გამოავლენს და აღმოფხვრის ხარვეზებს, რაც მთლიანად პროექტის წარმატებით განხორციელებას და შესყიდული ობიექტების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. შესწავლილ იქნეს სამუშაოთა უხარისხოდ შესრულებისა და საგარანტიო ვადებში მათი აღმოფხვრის მოთხოვნის, ხელშეკრულებებით მინიჭებული უფლების გამოუყენებლობის ფაქტები და არაობიექტური გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი პირების მიმართ გატარდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო ღონისძიებები. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის შესაბამისმა უწყებებმა, შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადებში დაუყოვნებლივ მიმართონ შესაბამის პირებს, მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

რეკომენდაცია N4: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს სახელშეკრულებო პირობების არასრულად და არასათანადოდ შესრულების პირობებში, შპს „სანდასუფთავებაზე“ გადარიცხული თანხის ბიუჯეტის ანგარიშზე ჩარიცხვა. ამასთანავე, სატენდერო და სახელშეკრულებო პირობებით განსაზღვროს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთის მომსახურების შესყიდვის პირობები. შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული პირობების შესრულების მიმდინარეობაზე სათანადო ზედამხედველობას, ხარვეზების დროულ გამოვლენასა და სათანადო რეაგირებას.

რეკომენდაცია N5: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს ისეთი შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც დაქვემდებარებულ ორგანიზაციებთან კოორდინირებული მუშაობითა და სახელშეკრულებო ვალდებულებებზე სისტემატური მონიტორინგის შედეგად, უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულად შესრულებას და საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ ხარჯვას. ამასთანავე, გამოკვლეულ იქნეს სახელმწიფო შესყიდვის შესრულების ეტაპზე არსებული ხარვეზების გამომწვევი მიზეზები და პასუხიმგებელი პირების მიმართ გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია N6: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ ეფექტიანი შიდა კონტროლის მექანიზმების შემუშავებით, უზრუნველყოს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების სათანადო მონიტორინგი და შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების საფუძველზე განახორციელოს შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების ანაზღაურება. ამასთანავე, არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტმა გამოიკვლიოს მათი გამომწვევი მიზეზები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

რეკომენდაცია N7: ა(ა)იპ – ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურმა უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს ბალანსზე რიცხული კულტივირებული აქტივების სრულყოფილი ინვენტარიზაცია, რომლის შედეგების გათვალისწინებით დაისვას შესაბამისი პირების პასუხისმგებლობის საკითხი. ამასთანავე, შეიმუშაოს და დანერგოს შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს არსებული და შეძენილი კულტივირებული აქტივების სათანადო აღრიცხვასა და დანიშნულებით გამოყენებას.

რეკომენდაცია N8: ა(ა)იპ – ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურმა უზრუნველყოს, უსაფუძვლოდ გაწეული გაუთვალისწინებელი ხარჯების ბიუჯეტის ანგარიშზე დაბრუნება. ამასთანავე, შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს, წინასწარ დასაბუთდეს გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის გამოყოფილი სახსრების სამუშაოთა მიმდინარეობის პროცესში გამოყენების აუცილებლობა.

რეკომენდაცია N9: ა(ა)იპ – ბათუმის სასაფლაოების ადმინისტრაციამ და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ, ერთობლივად შეისწავლონ ქალაქ ბათუმისთვის ახალი სასაფლაოს მშენებლობის პროცესში დაშვებული ხარვეზების გამომწვევი მიზეზები და მიღებული შედეგების გათვალისწინებით, განახორციელონ კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი ღონისძიებები. ამასთანავე, შემუშავებულ და დანერგილ იქნეს შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც დროულად და სრულად უზრუნველყოფს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების პროცესში დაშვებული ხარვეზების გამოვლენასა და სათანადო რეაგირებას.

რეკომენდაცია N10: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა, სამშენებლო სამუშაოების მიწოდებაზე გაფორმებული გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებების ფარგლებში, ანგარიშსწორება განახორციელონ მხოლოდ მიმწოდებლების მიერ ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის პირობებში. ამასთანავე, შეიქმნას შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ზუსტად და საფუძვლიანად განისაზღვროს შესყიდვის სავარაუდო ღირებულება.

შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, განხორციელებული საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ „ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარების“ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის – „ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება“ შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის – „ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური

კომუნალური სერვისების განვითარება“ შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები, ჯამში 91,165,839 ლარი.

გამოყენებული კრიტერიუმები

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

ა) ჩამოყალიბდეს დასკვნა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება – მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
- სამართლებრივი რეაგირების ღონისძიებების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შესწავლა-ანალიზი;
- აღნიშნულ სფეროში არსებული კარგი საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითების შესწავლა;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან და ფოკუსჯგუფებთან;

- მონაცემთა ანალიზი (მონაცემთა ბაზების და მონაცემთა დოკუმენტური ანალიზი).

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია არის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელებას. მერია, როგორც დაწესებულება (ადმინისტრაციული ორგანო), შედგება სტრუქტურული ერთეულებისაგან, რომლებიც კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფენ საკრებულოს და მერის დავალებების შესრულებას. მერიის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სქემით:



„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილებების მნიშვნელოვანი ნაწილი ინფრასტრუქტურულ საკითხებს უკავშირდება. შესაბამისად, ქალაქის მთელ ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი მუნიციპალური და კომუნალური მომსახურების ინფრასტრუქტურის განვითარება და მართვის მდგრადი სისტემის დანერგვა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნებს, უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

პრიორიტეტის (პროგრამის) ფარგლებში გათვალისწინებულია 8 პროგრამა, რომელთა შესაბამისად, პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანია:

- მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული, კომფორტული და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნა;
- ეფექტიანი კომუნალური მომსახურების დანერგვა ქალაქის მთელ ტერიტორიაზე;
- ეფექტიანი და მოთხოვნაზე ორიენტირებული მუნიციპალური სერვისების განვითარება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ანგარიშგების შესაბამისად, „ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარების“ პროგრამის ფარგლებში 2017 წელს გახარჯულია 91,165,839 ლარი.

ძირითადი ტექსტი

პროგრამის ბიუჯეტი

კრიტერიუმი: მხარჯავი დაწესებულება პროგრამის ფარგლებში ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებიდან ხარჯავს საბიუჯეტო სახსრებს. პროგრამით დასახული მიზნების შესრულების თვალსაზრისით, საბიუჯეტო ასიგნების სრული ათვისება მნიშვნელოვანია. ამასთანავე, ასიგნების გარეშე საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა ან ვალდებულების აღება დაუშვებელია. ბიუჯეტი წარმოდგენილია პროგრამულ ფორმატში. თითოეული პროგრამის შესაბამისად გაწერილია პროგრამის განმახორციელებელი ორგანო, პროგრამის მიზნები, პროგრამის ბიუჯეტი, შუალედური და საბოლოო მოსალოდნელი შედეგი. ამასთანავე, პროგრამის შედეგების შეფასებისათვის უნდა განისაზღვროს შედეგების შეფასების ინდიკატორი, რომელთა სწორად განსაზღვრა მნიშვნელოვანია პროგრამის ეფექტიანობის შეფასებისათვის[1].

გარემოება 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ანგარიშგების შესაბამისად, „ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარების“ პროგრამის საბიუჯეტო გეგმა 95,8 %-ით შესრულდა, ანუ გეგმის შესრულებას 4,039,610 ლარი დააკლდა. ცალკეული პროგრამის შესაბამისად, საბიუჯეტო გეგმის შესრულება წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ცხრილი N1. 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების შესახებ

N	დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების %
0300	**ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური სერვისების განვითარება**	**95, 205, 449**	**91,165,839**	**4, 039, 610**	**95,8**
0301	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	38,967,649	36,860,648	2,107,001	94,6
0302	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და სერვისის განვითარება	9,125,715	8,983,575	142,140	98,4
0303	საგზაო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	19,929 924	19,178,355	751,569	96,2
0304	ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	14,877,800	14,651,916	225,884	98,5
0305	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	9,134,061	8,820,753	313,308	96,6
0306	მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა - პატრონობა	2,277,600	1,845,904	431,696	81,0
0307	ქალაქის დაგეგმარება	723,500	679,619	43,881	93,9
0308	მუნიციპალური სერვისების განვითარება	169,200	145,070	24,130	85,8

[1] „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მე-18 მუხლი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებით დამტკიცებული „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია“.

საბიუჯეტო გეგმის შეუსრულებლობა, ძირითადად, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ და ცალკეული ქვეპროგრამების აუთვისებლობამ გამოიწვია. კერძოდ:

● „სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციისა და მოვლა-პატრონობის“ პროგრამა (030301), სადაც გეგმური 4,531,324 ლარის ნაცვლად, გახარჯულია 3,953,764 ლარი. ანუ გეგმა შესრულებულია 87,3 %-ით. საბიუჯეტო გეგმის შეუსრულებლობა, ძირითადად, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ და ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების პირობების დაგვიანებით შესრულებამ განაპირობა. კერძოდ, შპს „ზიმო 7-თან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, შესრულებულ სამუშაოთა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულია 2017 წლის 22 დეკემბერს, თუმცა საექსპერტო დასკვნა წარმოდგენილია 2018 წლის 17 აპრილს, რის გამოც შემსრულებელზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული 204,867 ლარის ნაცვლად, 2017 წელს ანაზღაურებულია 51,653 ლარი, რაც, შესაძლოა, სამუშაოების დაგვიანებით შესრულებისა და შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული 4548 ლარის[2] საჯარიმო სანქციების თავის არიდების მიზნით იყოს განპირობებული.

● მუნიციპალური სასაფლაოების მშენებლობის ქვეპროგრამა (030602), სადაც გეგმური 1,843,000 ლარის ნაცვლად, გახარჯულია 1,414,191 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია 76,7 %-ით. საბიუჯეტო გეგმის შეუსრულებლობა ქალაქ ბათუმისათვის ახალი სასაფლაოების მშენებლობასთან დაკავშირებით, შპს „მამისონთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაგვიანებით შესრულებამ განაპირობა.

● ადგილობრივი მოსაკრებლის ადმინისტრირების ქვეპროგრამა (030801), სადაც გეგმური 169,200 ლარის ნაცვლად გახარჯულია 145,070 ათასი ლარი. საბიუჯეტო გეგმის შეუსრულებლობა სს „ენერგო-პრო-ჯორჯიასთან“, გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების არასრულად შესყიდვამ განაპირობა. კერძოდ: სს „ენერგო-პრო-ჯორჯიასთან“ 2016 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკულების თანახმად, მიმწოდებელს უნდა განეხორციელებინა დასუფთავების მოსაკრებლის აბონენტებისათვის მათ მიერ გადასახდელი თანხის ოდენობის შესახებ ერთიანი ქვითრის დაბეჭდვა, მიწოდება ან SMS შეტყობინების დაგზავნა და გადასახდელი/გადახდილი თანხების აღრიცხვისა და პროცესის მართვის ორგანიზება. ხელშეკრულების შესაბამისად, აღნიშნული მომსახურება გაანგარიშებული იყო 47,000 აბონენტზე. წარმოდგენილი ანგარიშების შესაბამისად, აღნიშნული მომსახურება ყოველთვიურად, საშუალოდ, 40,300 აბონენტს გაეწია და შესაბამისად, 2017 წელს აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ვერ იქნა ათვისებული 36,200 ლარი.

[2] ხელშეკრულების ღირებულება – 204867 ლარი * პირგასამტეხლო – 0,02%*, დაგვიანებული დღეების რაოდენობა – 111 დღე = 4548 ლარი.

● გარე განათების ქსელის განვითარებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამა (030103), სადაც გეგმური 5,384,300 ლარის ნაცვლად გახაჯულია 4,938,081 ლარი. საბიუჯეტო გეგმის შეუსრულებლობა სახელმწიფო შესყიდვების გახორციელების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ, გარე განათების წერტების მოვლა-ექსპლუატაციის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების არასრულად შესრულებამ და გარე განათების სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის სახით გამოყოფილი სახსრების არასრულად ათვისებამ განაპირობა. კერძოდ,

◦ შპს „აჭარგანათებასთან“, გარე განათების წერტების მოვლა-ექსპლუატაციის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის ღირებულებაც 1,068,225 ლარს შეადგენდა, ითვალისწინებდა 17,619 განათების წერტის[3] მომსახურებას. წარმოდგენილი ანგარიშების შესაბამისად ირკვევა, რომ ყოველთვიურად, საშუალოდ, 1,863 წერტი გაუნათებელია, რამაც გაწეული მომსახურების მოცულობა შეამცირა. შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში აუთვისებელი დარჩა 81,000 ლარი.

◦ გარე განათების სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის სახით 2017 წელს გადახდილია 2,349,158 ლარი, რაც საბიუჯეტო გეგმის 92%-ია (გეგმა 2,534,400 ლარი), ანუ მიღებულია 185,242 ლარის ეკონომია. მიღებული ეკონომია ზემოთ აღნიშნული გარე განათების გაუნათებელი წერტების არსებობამ და მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის არასწორმა აღრიცხვამ განაპირობა. კერძოდ, ელექტროენერგიის საფასურის გადახდა სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებული და მერიის შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ დამოწმებული ელექტრომრიცხველების ჩვენებების შესაბამისად შედგენილი საგადასახადო ანგარიშფაქტურების საფუძველზე ხდებოდა. აღნიშნული ანგარიშფაქტურების მონაცემების ანალიზით დადგენილია, რომ რიგ შემთხვევებში, ელექტრომრიცხველების მონაცემების დაფიქსირება არა ყოველთვიურად, არამედ რამდენიმეთვიანი ინტერვალებით ხორციელდებოდა, რაც მოხმარებული ელექტროენერგიის არასწორ აღრიცხვას იწვევდა. მერიის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, მრიცხველების მონაცემების გადამოწმება არსებული რესურსის შესაბამისად, შერჩევითი წესით ხორციელდებოდა, თუმცა აუდიტის პერიოდში ზემოთ აღნიშნული შეუსაბამობები მათ მიერ არ არის გამოვლენილი.

გარემოება 2: ინფრასტუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარების ბიუჯეტი წარმოდგენილია პროგრამულ ფორმატში, განსაზღვრულია პროგრამების მიზნები, განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალი და საბოლოო მოსალოდნელი შედეგი, თუმცა არ არის განსაზღვრული შედეგების ინდიკატორის რაოდენობრივი საზომები. მაგალითად:

● პროგრამის – „ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარება“ მოსალოდნელი შედეგია ქალაქში ეკოლოგიური და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება, შედეგების ინდიკატორებად განსაზღვრულია ქალაქში

[3] განათების სხვადასხვა მოდიფიკაციის ნათურა.

რეკრეაციული და გამწვანებული ტერიტორიების ზრდა, თუმცა მათი რაოდენობრივი მაჩვენებელი არ არის განსაზღვრული. შესაბამისად, ანგარიშსწორების ეტაპზე შეუძლებელი გახდა მიღწეული შედეგების გაზომვა და პროგრამის ეფექტიანობის შეფასება.

დასკვნა: ცალკეული პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო პარამეტრების განსაზღვრა არასწორი მონაცემებით, არასათანადო ანალიზისა და გაანგარიშებების საფუძველზე კეთდება, რის გამოც საბიუჯეტო სახსრები აუთვისებელი დარჩა. ამასთანავე, შეფასების ინდიკატორების განუსაზღვრელობა არ იძლევა მიღწეული შედეგების გაზომვისა და შესაბამისად, პროგრამის ეფექტიანობის შეფასების საშუალებას, რაც საბიუჯეტო რესურსის სწორად გადანაწილებისა და ეფექტიანად გამოყენების მთავარი პირობაა.

რეკომენდაცია: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს პროგრამების საბიუჯეტო პარამეტრების განსაზღვრა არსებული ფაქტობრივი გარემოებების სიღრმისეული შესწავლისა და ანალიზის შედეგების შესაბამისად. ამასთანავე, პროგრამებისა და ქვეპროგრამების დონეზე შემუშავდეს შედეგების შეფასების გაზომვადი ინდიკატორები, რომელთა გამოყენებით უნდა შეფასდეს პროგრამების ეფექტიანობა, რაც მომდევნო ფისკალური წლის ბიუჯეტის შემუშავების საფუძველი უნდა გახდეს.

შესყიდვების დაგეგმვა-განხორციელება

კრიტერიუმი: შესყიდვის გამოცხადების წინ, შემსყიდველი დაწესებულება ითვალისწინებს ბაზრის მოკვლევის შედეგებს, რომელთა საფუძველზე იკვეთება საჭირო ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის ფასებთან, სპეციფიკაციებთან, პოტენციურ მიმწოდებლებთან და შესყიდვის სხვა თავისებურებებთან დაკავშირებით. მიღებული შედეგების გათვალისწინებით ხორციელდება სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავება. სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მოთხოვნები ადეკვატურად უნდა ასახავდეს შემსყიდველი დაწესებულების საჭიროებას და ამავდროულად უზრუნველყოფდეს პროპორციულ და არადისკრიმინაციულ მიდგომას იმ პოტენციური მიმწოდებლების მიმართ, რომელთაც შეუძლიათ შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებების დაკმაყოფილება. ამასთანავე, საგარანტიო პერიოდში მიწოდებული საქონლის, მომსახურებისა თუ სამუშაოს ხარისხთან დაკავშირებით გამოვლენილი ნაკლოვანებები, შემსყიდველის შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე, მიმწოდებელი კომპანიის მიერ საკუთარი სახსრებით უნდა იქნეს აღმოფხვრილი[4].

საბავშვო ატრაქციონების შესყიდვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

გარემოება 1: ა(ა)იპ – „ბათუმის კორპუსის“ მიერ ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე საბავშვო ატრაქციონების მიწოდება-მონტაჟის სამუშაოთა შესყიდვის მიზნით ტენდერები გამოცხადდა ბაზრის კვლევის გარეშე. ტენდერების სავარაუდო ღირებულება, საერთო ჯამში – 656,600 ლარს

[4] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-5 პუნქტი.

შეადგენდა და ითვალისწინებდა სხვადასხვა მოდიფიკაციის 123 ცალი ატრაქციონისა და 4,264 კვ.მ კაუჩუკის (რეზინის) მოედნის მოწყობა/მონტაჟს.

ცხრილი N2. საბავშვო ატრაქციონების შესყიდვის შესახებ

N	შესყიდვის ნომერი	სავარაუდო ღირებულება	ხელშეკრულების ნომერი და თარიღი	სახელშეკრულებო ღირებულება	მიმწოდებელი
1	170001450	595,800	N62. 4.05.2017	484,000	შპს „ექსიმ ჯგუფი“
2	170005951	60,800	N88. 18.07.2017	50,993	შპს „ექსიმ ჯგუფი“
	ჯამი:	**656,600**		**534,993**	

ა(ა)იპ – „ბათუმის კორპუსში“ დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავებით, აღნიშნულ შემთხვევებში სატენდერო დოკუმენტაციით არ არის მოთხოვნილი პრეტენდენტის გამოცდილება. ამასთანავე, NAT170001450 შესყიდვის სატენდერო პირობით გათვალისწინებულ იქნა ატრაქციონის მოედნის მოსაწყობად კაუჩუკის (რეზინის) გამოყენება, რომლის შემადგენლობა და გამოყენების ტექნოლოგიური პირობები, კითხვა-პასუხის რეჟიმში, სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებიდან 3 დღით ადრე დაზუსტდა, ხოლო NAT170005951 შესყიდვის სატენდერო პირობით გათვალისწინებულ იქნა სამუშაოთა დასრულების 10-დღიანი ვადა და დაგვიანებით შესრულებისათვის პირგასამტეხლოს უჩვეულოდ მაღალი ოდენობა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.5%[5], მაშინ როცა, ა(ა)იპ – „ბათუმის კორპუსში“ დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, პირგასამტეხლო 0,02%-დან 0,05%-მდე მერყეობს. აღნიშნულმა პირობებმა პოტენციური მიმწოდებლების უკმაყოფილება და კონკურენციის შეზღუდვა განაპირობა, რასაც შესყიდვების ერთიანი სისტემის კითხვა-პასუხის ველში მათ მიერ გამოთქმული პრეტენზიები ადასტურებს. შესყიდვებში ორივე შემთხვევაში შპს „ექსიმ ჯგუფმა“ გაიმარჯვა.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 4 მაისს გაფორმებული N62 ხელშეკრულების ღირებულებაში 200,000 ლარი, მთლიანი ღირებულების 41% კაუჩუკის მოედნის მოწყობაზე იყო გათვალისწინებული, თუმცა მათი შესრულების ხარისხი, აუდიტის პერიოდში ჩატარებული დათვალიერების შედეგებიდან გამომდინარე, არადამაკმაყოფილებელია.

სურათი N1. ქალაქ ბათუმში, მიხეილ ლერმონტოვის ქუჩის 80ა-სა და 106ა -ში მოწყობილი ატრაქციონების მოედნები

[5] NAT170001450 შესყიდვის სატენდერო პირობით არადროული/დაგვიანებით შესრულებისათვის პირგასამტეხლოს ოდენობა 0,05 %-ს შეადგენდა.

აუდიტის პერიოდში ჩატარებული დათვალიერების შედეგად რიგ შემთხვევებში დაფიქსირდა ატრაქციონების დაზიანების ფაქტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია შშმპ-თვის განკუთვნილი ატრაქციონების მდგომარეობა, რომელთაგან უმრავლესობა (6-დან – 4) პრაქტიკულად მწყობრიდან გამოსულია.

სურათი 2. ქალაქ ბათუმში, გიორგი ლეონიძისა და გალაქტიონ ტაბიძის ქუჩების კვეთაში და ფრიდონ ხალვაშის N328 -სა და გიორგი ლეონიძის 2-ში მდებარე ატრაქციონები

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა, სამუშაოს მიღებიდან 24 თვეს შეადგენს. საგარანტიო ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა, თუმცა ა(ა)იპ – „ბათუმის კორპუსის“ შესაბამის პასუხისმგებელ პირებს არ მიუმართავთ მიმწოდებლისთვის უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს გამოსწორების მოთხოვნით და შესაბამისად, აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისთვის ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზები არ აღმოფხვრილა. შედეგად ა(ა)იპ – „ბათუმის კორპუსის“ შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვანმა შესრულებამ, შესაძლოა, ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების ხარჯვა განაპირობოს.

სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების შესყიდვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

გარემოება: ა(ა)იპ – სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტოს, სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების შესყიდვასთან დაკავშირებით ბაზრის მოკვლევა არ ჩაუტარებია. 2017 წლის 7 თებერვალს გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის[6] სავარაუდო ღირებულება 24,650 ლარით განისაზღვრა და ითვალისწინებდა 470 ცალი სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების შესყიდვას. შესყიდვაში მონაწილე პრეტენდენტების მიერ შესყიდვის ერთიან სისტემაში ატვირთული დოკუმენტაციის, შესყიდვის ინვოისის შესაბამისად ირკვევა, რომ შესასყიდი საქონლის სრული ოდენობით შესყიდვა 4,352 ლარად იყო შესაძლებელი, რაც 5-ჯერ ნაკლებია შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე. შესყიდვაში მონაწილე 2 პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, ტექნიკური დოკუმენტაციის არასრულად წარდგენის გამო განხორციელდა. გამარჯვებულად მესამე პრეტენდენტი, შპს „ანსარი“ დასახელდა, რომელთანაც 2017 წლის 29 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება 12,777 ლარის

[6] SPA 170002393.

ღირებულებით. აღსანიშნავია, რომ დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის[7] სატენდერო წინადადების ღირებულება 9,550 ლარს შეადგენდა და მის მიერ სატენდერო წინადადებით განსაზღვრული მისაწოდებელი საქონლის ტექნიკური მახასიათებლები, გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ მიწოდებული საქონლის პარამეტრების იდენტურია.

2017 წლის 31 აგვისტოს, სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების შესყიდვის მიზნით, კვლავ გამოცხადდა ტენდერი[8]. მიუხედავად იმისა, რომ წინა შესყიდვის შედეგებიდან გამომდინარე, სააგენტოსათვის ცნობილი იყო ბაზარზე არსებული მდგომარეობა, მან შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არა ბაზრის სათანადო კვლევისა და შესყიდვაში მონაწილე პრეტენდენთა წინადადებების ანალიზით, არამედ გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად – 12,223 ლარით განსაზღვრა. აღნიშნულ ტენდერშიც გამარჯვებულად შპს „ანსარი“ დასახელდა, რომელთანაც გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულება, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე 25,7 პროცენტით ნაკლებია და წინა შესყიდვაში საუკეთესო ფასის შემომთავაზებელი დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის ფასის იდენტურია. ამრიგად, ზემოთ აღნიშნულ შესყიდვებში, ბაზრის კვლევის სათანადოდ ჩატარების პირობებში, შესაძლებელი იქნებოდა მინიმუმ, 3227 ლარის ეკონომია.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად, აუდიტის პერიოდში შესყიდულია სულ 21,855 ლარის ღირებულების სიჩქარის შემზღუდველი ბარიერები. აუდიტის პერიოდში შერჩევითი წესით განხორციელებული დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ ისინი ფაქტობრივად გამოსულია მწყობრიდან.

სურათი N9. ქ. ბათუმი, მიხეილ ჯავახიშვილისა და ალექსანდრე პუშკინის ქუჩებში დამონტაჟებული ბარიერები

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, მიწოდებულ საქონელზე საგარანტიო ვადა შეადგენს მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 3 წელს. საგარანტიო ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა, თუმცა ა(ა)იპ – სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტოს შესაბამის პასუხისმგებელ პირებს არ მიუმართავთ მიმწოდებლისთვის უხარისხოდ მიწოდებული საქონლის შეცვლის მოთხოვნით და შესაბამისად, აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისათვის ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზები არ აღმოფხვრილა. შედეგად, ა(ა)იპ – სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტოს

[7] შპს „ექსიმ ჯგუფი“.
[8] NAT 170010407.

შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვანმა შესრულებამ, შესაძლოა ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების ხარჯვა განაპირობოს.

გარე განათების შესყიდვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

გარემოება 1. გარე განათების მოწყობისა და მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულია პირობები, რომლებიც გარკვეულ ბარიერს ქმნის შესაბამის მიწოდების ბაზარზე ოპერირებადი მიმწოდებლებისათვის და შესაძლოა კონკრეტულ პრეტენდენტებზე იყოს მორგებული. კერძოდ:

ცხრილი N3. გარე განათების ქსელის მიწოდებისა და მომსახურების შესყიდვის შესახებ

N	ტენდერის დასახელება	ტენდერის ნომერი	სავარაუდო ღირებულება	მოთხოვნილი გამოცდილება	სახელშეკრულებო ღირებულება	თანაფარდობა სავარაუდო ღირებულებასა და მოთხოვნილ გამოცდილებას შორის
1	გარე განათების ქსელის მოვლა-ექსპლუატაცია	160028740	1,068,225	1,000,000	1,068,225	1,0
2	გოგებაშვილის ქუჩის განათების მოწყობა	170000164	129,251	500,000	103,450	3,9
3	გონიო -კვარიათის განათების მოწყობა	170000161	125,116	500,000	115,000	4,0
4	ქალაქის ქუჩების საახალწლო გაფორმება	170010184	1,510,000	1,500,000. მათ შორის 700,000 საახალწლო გაფორმება	1,510,000	0,9
5	ტბელ აბუსერიძის ქუჩაზე არსებული თაღის განათება	170000169	39,188	500,000	39,186	12,8
	ჯამი:		**2,871,780**		**2,835,861**	

როგორც ცხრილიდან ჩანს, ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოთა შესრულების მოთხოვნილი გამოცდილებისა და შესყიდვის სავარაუდო ღირებულების თანაფარდობა 3 შემთხვევაში 3,9-დან 12,8-მდე მერყეობს, რაც მუნიციპალიტეტში დამკვიდრებულ პრაქტიკას[9] საშუალოდ, 3,6-ჯერ აღემატება. ამასთანავე, შობა-ახალი წლის დღეებში ქალაქის გაფორმების სამუშაოების შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციით დამატებით მოთხოვნილია აღნიშნულ დღეებში ქალაქის გაფორმების სამუშაოების ჩატარების არანაკლებ, 700,000 ლარის გამოცდილება, რომლის განსაზღვრის შესახებ სათანადო არგუმენტები აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი. აღსანიშნვია, რომ გარე განათების წერტების მოვლა-ექსპლუატაციის სახელმწიფო შესყიდვის ტექნიკური პირობით განსაზღვრულია გარე განათების წერტების განათების საათობრივი გრაფიკი[10], რომელიც აუდიტის პერიოდში მოპოვებული მტკიცებულების შესაბამისად, უმეტესწილად ავტომატურ რეჟიმში „ფოტორელეს“[11] საშუალებით რეგულირდება. აღნიშნულის შესახებ არავითარი მინიშნება სატენდერო დოკუმენტაციაში არ არის გაკეთებული. ასევე ვალდებულების ჯეროვნად შეუსრულებლობისათვის დადგენილია შეუსაბამოდ დიდი ოდენობის პირგასამტეხლო: გარე

[9] მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2017 წელს განხორციელებული ტენდერების უმრავლესობაში, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებისა და მოთხოვნილი გამოცდილების თანაფარდობა 1,9-ს არ აღემატება.
[10] გარე განათების წერტები განათებული უნდა იყოს მაგალითად, იანვარში, 14 საათის განმავლობაში, 18:00 სთ-დან 8:00 სთ-მდე, თებერვალში – 13 საათის განმავლობაში, 18:30-დან 7:30 სთ-მდე და ა.შ.
[11] ჩართა-გამორთვის ავტომატური სისტემა შებინდების სენსორის საშუალებით.

განათების გრაფიკის დარღვევის თითოეულ ფაქტზე – 100 ლარი, ხოლო გარე განათების წერტის ორ დღეზე მეტი ვადით გაუნათებლობის შემთხვევაში – თითოეულ დღეზე – 20 ლარი. ამასთანავე, მოპოვებული დოკუმენტაციით დგინდება, რომ მუნიციპალიტეტის გარე განათების მართვის სისტემა განთავსებულია შპს „აჭარგანათების“ კუთვნილ ფართში. ზემოთ აღნიშნული შესაძლოა ასევე იყოს დამაბრკოლებელი გარემოება სხვა შესაძლო პრეტენდენტებისთვის.

აღნიშნულ პირობებში, ცხრილში მითითებულ შემთხვევებში შესყიდვები უკონკურენტო გარემოში, მხოლოდ ერთი პრეტენდენტის მონაწილეობით ჩატარდა და ყველა შემთხვევაში გამარჯვებულად შპს „აჭარგანათება“ დასახელდა.

შპს „აჭარგანათებასთან“ გარე განათების წერტების მოვლა-ექსპლუატაციის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის ღირებულებაც 1,068,225 ლარს შეადგენდა, ითვალისწინებდა 17,619 განათების წერტის მომსახურებას. წარმოდგენილი ანგარიშების შესაბამისად ირკვევა, რომ ყოველთვიურად, საშუალოდ, 1,863 წერტი გაუნათებელია. მერიის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნული გაუნათებელი წერტებიდან 644 წერტის გაუნათებლობა, ქალაქის შესაბამის უბნებში ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას უკავშირდება, ხოლო 1,219 განათების წერტი სრულ რეაბილიტაციას საჭიროებდა და მათი აღდგენა, მოვლა-ექსპლუატაციის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, შპს „აჭარგანათების“ ვალდებულებას არ წარმოადგენდა. აღნიშნული არგუმენტი ვერ ჩაითვლება მისაღებად, რადგან დაზიანებული სანათების აღდგენა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებული სამუშაოები 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით არ იყო გათვალისწინებული და შესაბამისად, მომსახურების ჩამონათვალში არ უნდა ყოფილიყო შეტანილი. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ აუდიტის პერიოდში არაობიექტური მიზეზებით, ყოველთვიურად გაუნათებელი იყო 1,219 წერტი, რაც გარე განათების წერტების მოვლა-ექსპლუატაციის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ყოველთვიურად კონტრაქტორი კომპანიის 731,400 ლარით დაჯარიმებას ითვალისწინებდა, რაც არ განხორციელებულა[12]. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული დარღვევა-ნაკლოვანებები ასახულია აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ წინა პერიოდის აუდიტის ანგარიშებში და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები, თუმცა მდგომარეობა არ გამოსწორებულა და საკითხი კვლავ აქტუალურია.

კონკურენციის შეზღუდვასთან დაკავშირებული საკითხები

გარემოება 1. ა(ა)იპ – „ბათუმის კორპუსის“ მიერ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და ეზოების კეთილმოწყობისა და სანიაღვრე-საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერების ტექნიკური მოთხოვნები, კერძოდ, პრეტენდენტთა გამოცდილების მოთხოვნილი ნორმა, კონკურენციის შემზღუდავ პირობებს შეიცავს. კერძოდ:

[12] შერჩევითი დათვალიერებით, მიმდინარე წელსაც დაფიქსირდა წერტების გაუნათებლობის ფაქტები.

ცხრილი N4. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების შესყიდვის შესახებ

N	დასახელება	შესყიდვის ნომერი	სავარაუდო ღირებულება	მოთხოვნილი გამოცდილება	გამარჯვებული	სახელშეკრულებო ღირებულება
1	სტიქიის შედეგ-ების სალიკვიდა-ციო სამუშაოები	170008082	448,684	ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის (საყრდენი კედლების ჩამოსხმის სამუშაოები) სამუშაოები, საერთო ღირებულებით არანაკლებ 1,400,000 ლარის ოდენობით, ამასთანავე, მინიმუმ, ერთი ხელშეკრულებით შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 350,000 ლარის ღირებულების სამუშაო.	ი/მ ჯემალ ირემაძე	432,199
2	სტიქიის შედეგ-ების სალიკვიდა-ციო სამუშაოები	170011574	209,549	ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის (საყრდენი კედლების ჩამოსხმის სამუშაოები) სამუშაოები, საერთო ღირებულებით არანაკლებ 1,000,000 ლარის ოდენობით, ამასთანავე, მინიმუმ, ერთი ხელშეკრულებით შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 350,000 ლარის ღირებულების სამუშაო.	ი/მ ჯემალ ირემაძე	209,548
	ჯამი:		**658,233**			**641,747**

როგორც ცხრილიდან ჩანს, გამოცდილების საერთო ღირებულებასთან ერთად მოთხოვნილია ერთი ხელშეკრულების ფარგლებში 350,000 ლარის ღირებულების საყრდენი კედლების ჩამოსხმის სამუშაოთა შესრულების გამოცდილება, რის შედეგადაც ზემოთ მოყვანილი შესყიდვები უკონკურენტო გარემოში, ორივე შემთხვევაში ი/მ ჯემალ ირემაძის გამარჯვებით დასრულდა. ამასთანავე, გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ შესყიდვების ერთიან სისტემაში გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სახით ატვირთული მასალების ანალიზით დადგენილია, რომ სატენდერო კომისიის მიერ გამოცდილებაში ჩათვლილია პრეტენდენტის მიერ წინა წლებში სხვადასხვა კერძო კომპანიასთან გაფორმებული ქვეკონტრაქტის ხელშეკრულებები, რომელთა გაფორმებასთან დაკავშირებით ა(ა)იპ – ბათუმის კორპუსთან, როგორც სამუშაოების შემსყიდველთან წინასწარი შეთანხმება არ განხორციელებულა. აღნიშნულ პირობებში, შესყიდვებში დამკვიდრებული პრაქტიკის[13] მიუხედავად, პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია არ განხორციელებულა, რაც მხარეთა შორის არამართლზომიერი გარიგების რისკებზე მიუთითებს.

გარემოება 2. ა(ა)იპ – „ბათუმის კორპუსის“ მიერ ბაღის სკამებისა და ფანჩატურების მიწოდებასთან დაკავშირებით გამოცხადებულ ტენდერებში[14], რომელთა სავარაუდო ღირებულება ჯამში 200,000 ლარს შეადგენდა, პრეტენდენტის გამოცდილებად მოთხოვნილია არა საბაღე სკამებისა და ფანჩატურების მიწოდების, არამედ რკინის კონსტრუქციების შედუღებითი სამუშაოების წარმოების გამოცდილება.

[13] დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განზოგადებული პრაქტიკა.
[14] NAT 170007624, NAT 170005258.

ცხრილი N5. საბაღე სკამებისა და ფანჩატურების შეძენის ტენდერების შესახებ

N	დასახელება	შესყიდვის ნომერი	სავადაუდო ღირებულება	ტენდერში მონაწილეთა რაოდენობა	გამარჯვებული	სახელშეკრულებო ღირებულება
1	ბაღის სკამების შეძენა განთასებით	170007624	100,000	3 პრეტენდენტი	შპს „ლაშა“	71,968
2	ფანჩატურის შეძენა განთავსებით	170005258	100,000	2 პრეტენდენტი	შპს „ლაშა“	94,833
	ჯამი:		**200,000**			**166,801**

აუდიტის პერიოდში ვერ იქნა განმარტებული აღნიშნული არაადეკვატური სატენდერო მოთხოვნის ობიექტური გარემოებები. მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების შესაბამისად ირკვევა, რომ აღნიშნულ ტენდერებში გამარჯვებულ კომპანიას, შპს „ლაშას“ გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტად ორივე შემთხვევაში, 2016 წელს, ა(ა)იპ – „ბათუმის კორპუსთან“, ფანჩატურის მიწოდებასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებები აქვს წარდგენილი და აღნიშნული ხელშეკრულებებიც ანალოგიური სატენდერო მოთხოვნის გათვალისწინებით გაფორმდა. შესაბამისად, აღნიშნულ შესყიდვებში მოთხოვნილი გამოცდილება შესყიდვის საგანთან მიმართებით შეუსაბამოა და შესაძლოა კონკრეტულ პრეტენდენტზე იყოს მორგებული.

დასკვნა: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში მოქმედი რეგულაციების გაუთვალისწინებლობამ, ბაზრის კვლევის ჩაუტარებლობის პირობებში, 556,848 ლარის ღირებულების საქონლის შესყიდვისა და 3,644,409 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვებში კონკურენციის შეზღუდვა განაპირობა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის ინტერესების საზიანოდ არ არის გამოყენებული ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილება, საგარანტიო ვადაში უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამოსწორების მოთხოვნასთან დაკავშირებით. აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების არარაციონალურ ხარჯვასა და სატენდერო პირობების კონკრეტული მიმწოდებლის ინტერესებზე მისადაგების რისკებზე მიუთითებს.

რეკომენდაცია 1: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ და მისდამი დაქვემდებარებულმა ორგანიზაციებმა საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის უზრუნველყოფისათვის კონკურენტუნარიანი ტენდერების ჩატარების მიზნით, სათანადოდ და დროულად განახორციელოს შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოები. კერძოდ, სრულყოფილად ჩატარებული ბაზრის კვლევის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნეს ტექნიკური მახასიათებლებისა და სავარაუდო ღირებულების ოპტიმალური განსაზღვრა. ამასთანავე, გამოკვლეულ იქნეს სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვის და შესრულების ეტაპზე არსებული

ხარვეზების გამომწვევი მიზეზები და პასუხიმგებელი პირების მიმართ გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია 2: სამუშაოების შესყიდვისას დაინერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც მშენებლობის პროცესის სისტემატური მონიტორინგის საშუალებით, დროულად და სრულად გამოავლენს და აღმოფხვრის ხარვეზებს, რაც მთლიანად პროექტის წარმატებით განხორციელებას და შესყიდული ობიექტების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. შესწავლილ იქნეს სამუშაოთა უხარისხოდ შესრულებისა და საგარანტიო ვადებში მათი აღმოფხვრის მოთხოვნის, ხელშეკრულებებით მინიჭებული უფლების გამოუყენებლობის ფაქტები და არაობიექტური გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი პირების მიმართ გატარდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო ღონისძიებები. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის შესაბამისმა უწყებებმა, შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადებში დაუყოვნებლივ მიმართონ შესაბამის პირებს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

ხელშეკრულებების შესრულების მდგომარეობა

კრიტერიუმი: პროგრამის ფარგლებში, გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებით, ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის განსაზღვრულია ტექნიკური ზედამხედველი, რომელსაც მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი ევალება. კონტროლის მიზანია ზედამხედველობა გაუწიოს შესრულებული სამუშაოს რაოდენობას, მოცულობას, ხარისხს, ვადას, საქონლის მიწოდებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ადგილის მიხედვით და საგარანტიო ვალდებულების შესრულებას. მიმწოდებელს თანხა უნდა აუნაზღაურდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვის შესაბამისად. სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვა შეიძლება მოიცავდეს „გაუთვალისწინებელი ხარჯების“ მუხლს და გამოიყენება წინასწარ დაუგეგმავი გარემოებების წარმოშობისას. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებულ ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებული პროცენტის ფარგლებში გაუთვალისწინებელი ხარჯების ათვისების საფუძველს წარმოადგენს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ორმხრივად, წინასწარ დამოწმებული წერილობითი შეთანხმება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება გაუთვალისწინებელი სამუშაოების გაფასებული ჩამონათვალი (გაუთვალისწინებელი ხარჯების ხარჯთაღრიცხვა)[15].

[15] „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 22-ე მუხლი, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 37-ე მუხლი და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებები.

ქალაქის დასუფთავების შესყიდვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

გარემოება. ქალაქის დასუფთავების და ნარჩენების გატანის ქვეპროგრამის ფარგლებში, 2016 წლის 20 დეკემბრს შპს „სანდასუფთავებასთან“ გაფორმდა ხელშეკრულება[16] ქალაქის ქუჩების, პარკების, მოედნების დასუფთავების მომსახურების შესყიდვის შესახებ. ხელშეკრულება, რომლის ღირებულებაც 4,486,854 ლარით განისაზღვრა, ითვალისწინებდა სანაპიროსა და ქალაქის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას, მორწყვას, მორეცხვას, ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდას, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელებასა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთას.

სატენდერო და სახელშეკრულებო პირობებით არ არის განსაზღვრული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთის მომსახურების შესყიდვის პირობები. კერძოდ, არ არის განსაზღვრული მიმწოდებლის მიერ აღნიშნული მომსახურების ფარგლებში გასატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი. ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის მინიშნებული, რა სახის ღონისძიებები იქნა გატარებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთისათვის და ასეთ პირობებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა 316,800 ლარი, კონტრაქტორ კომპანიაზე გადარიცხულია სრულად.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობა არ არის აღკვეთილი, რასაც მედიის მიერ გაკეთებული არაერთი პუბლიკაცია თუ სატელევიზიო სიუჟეტიც ადასტურებს[17], თუმცა მუნიციპალიტეტს, შპს „სანდასუფთავების“ მიმართ არ დაუყენებია მოთხოვნა, სახელშეკრულებო ვალდებულების სრულად შესრულების შესახებ.

დასკვნა: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ქალაქის დასუფთავების მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით დანერგილმა კონტროლის მექანიზმებმა ვერ უზრუნველყო სახელშეკრულებო ვალდებულების არასათანადოდ შესრულების დროული გამოვლენა და სათანადო რეაგირების განხორციელება. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ სახელშეკრულებო პირობების არასრულად და არასათანადოდ შესრულების პირობებში, მიმწოდებელზე ანაზღაურებულია 316,800 ლარი.

რეკომენდაცია: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს, სახელშეკრულებო პირობების არასრულად და არასათანადოდ შესრულების პირობებში, შპს „სანდასუფთავებაზე“ გადარიცხული 316,800 ლარის ბიუჯეტის ანგარიშზე ჩარიცხვა. ამასთანავე, სატენდერო და სახელშეკრულებო პირობებით განსაზღვროს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთის მომსახურების შესყიდვის პირობები. შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული პირობების

[16] ხელშეკრულება N240, 20.12.2016.
[17] http://batumelebi.netgazeti.ge/news/137955/

შესრულების მიმდინარეობაზე სათანადო ზედამხედველობას, ხარვეზების დროულ გამოვლენასა და სათანადო რეაგირებას.

ურთიერთგამომრიცხავი სამუშაოების შესყიდვა

გარემოება. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაფორმებულია 2 ხელშეკრულება[18], ქალაქში არსებული შენობა-ნაგებობების ფასადებისა და კედლების დასუფთავება-გაწმენდის სამუშაოების შესყიდვაზე. აღნიშნული ხელშეკრულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესაბამისად, 2017 წელს შესრულებულად ნაჩვენებია ერთსა და იმავე მისამართზე არსებული შენობების ფასადების, ერთი და იმავე ფართობის, ორჯერ და რიგ შემთხვევებში, სამჯერ – დასუფთავება-გაწმენდის სამუშაოები. ამასთანავე, შპს NODAMER enerji-თან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, ასეთი სამუშაოები ოქტომბერსა და ნოემბერში სრული მოცულობით მეორდება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებამდე, 2017 წლის 20 ივნისს ა(ა)იპ – ბათუმის კორპუსის მიერ შპს ABEKA-თან გაფორმდა ხელშეკრულება[19] ქ. ბათუმის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაციის (ღებვის) სამუშაოების შესყიდვის შესახებ, რომლის ფარგლებში, 2017 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში სრულად შეღებილია იმ საცხოვრებელი სახლების ფასადები, რომლთა დასუფთავება-გაწმენდის სამუშაოები, მერიის მიერ შპს NODAMER enerji–თან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, ოქტომბერში შესრულებულად არის ნაჩვენები. კერძოდ:

ცხრილი N5. ქალაქ ბათუმის ქუჩების რეაბილიტაცია-შეღებვისა და დასუფთავება-გაწმენდაზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ

N	მისამართი	ხელშეკრულება N83, 20.06.2017 (რეაბილიტაცია - შეღებვა)		ხელშეკრულება N180, 05.09.2017 (დასუფთავება-გაწმენდა)		შენიშნვა
		ფართობი	ფასი	ფართობი	ფასი	
1	რუსთაველის ქუჩა N14	158	2,624	60	229	გაწმენდილია ორჯერ
2	რუსთაველის ქუჩა N16	267	4,421	92	351	გაწმენდილია ორჯერ
3	რუსთაველის ქუჩა N12	1100	18,216	190	726	გაწმენდილია სამჯერ
4	რუსთაველის ქუჩა N11	1023	18,468	132	504	გაწმენდილია სამჯერ
5	რუსთაველის ქუჩა N9	152	2,523	154	588	გაწმენდილია სამჯერ
6	რუსთაველის ქუჩა N5	1900	31,464	124	474	გაწმენდილია სამჯერ
7	რუსთაველის ქუჩა N7	1037	17,181	170	649	გაწმენდილია სამჯერ
8	რუსთაველის ქუჩა N8	802	13,287	94	359	გაწმენდილია სამჯერ
	ჯამი:		**108,184**		**3,880**	

როგორც ცხრილიდან ჩანს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ორი უწყების მიერ, ერთსა და იმავე მისამართზე, დროის ერთსა და იმავე შუალედში შესრულებულია შენობა-ნაგებობების

[18] ხელშეკრულება N235, 16.12.2016, ღირებულება – 59954 ლარი. შემსრულებელი ი/მ ტატიანა მეგრელიშვილი და ხელშეკრულება N180, 05.09.2017, ღირებულება – 22920 ლარი. შემსრულებელი – შპს NODAMER enerji.
[19] ხელშეკრულება N83, 20.06.2017, ღირებულება – 328344 ლარი. შემსრულებელი – შპს ABEKA.

ფასადებისა და კედლების დასუფთავება-გაწმენდისა და ამავე შენობა-ნაგებობების შეღებვითი სამუშაოები, რაც ურთიერთგამომრიცხავია.

დასკვნა: მერიისა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციის არაკოორდინირებულმა საქმიანობამ განაპირობა ურთიერთშეუსაბამო სამუშაოთა შესყიდვა და სულ მცირე, 3,880 ლარის არამიზნობრივი ხარჯვა. ამასთანავე, შენობა-ნაგებობების ფასადებისა და კედლების დასუფთავება-გაწმენდის სამუშაოებისა და ბათუმის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაციის (სამღებრო) სამუშაოების შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულებები ურთიერთგამომრიცხავია და შესაძლოა, შეუსრულებელი სამუშაოების ანაზღაურებისა და თაღლითობის რისკებს შეიცავდეს.

რეკომენდაცია: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც დაქვემდებარებულ ორგანიზაციებთან კოორდინირებული მუშაობითა და სახელშეკრულებო ვალდებულებებზე სისტემატური მონიტორინგის შედეგად უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულად შესრულებას და საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ ხარჯვას. ამასთანავე, გამოკვლეულ იქნეს სახელმწიფო შესყიდვის შესრულების ეტაპზე არსებული ხარვეზების გამომწვევი მიზეზები და პასუხისმგებელი პირების მიმართ გატარებულ იქნეს შესაბამისი ღონისძიებები.

სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

გარემოება 1. ქალაქ ბათუმის მერიის მიერ სარემონტო - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით, შესაბამის ხელშეკრულებებსა და მხარეებს შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის მითითებული შესასრულებელი სამუშაოს ზუსტი ადგილმდებარეობა. მიღება-ჩაბარების აქტებში აღნიშნულია მხოლოდ ქუჩის დასახელება, სადაც შესრულებულია ქუჩის შეკეთების სამუშაოები, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული გზის რა მონაკვეთსა და რა მანძილზე (პიკეტაჟი, ნომერი და სხვ.) განხორციელდა სარემონტო ან სამშენებლო სამუშაოები. ხშირ შემთხვევებში შესასრულებელი სამუშაოს ადგილმდებარეობად მითითებულია ერთი და იმავე დასახელების ქუჩა, სადაც არ არის მითითებული ქუჩის მონაკვეთი, ნომერი ან უბანი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვერ დასტურდება მიმწოდებელი კომპანიების მიერ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საგარანტიო ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა. კერძოდ,

) არაასფალტირებული ქუჩების სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით[20], შპს „ბონდი-2009-სთან“, 2017 წლის 5 იანვარს გაფორმებულია N7 ხელშეკრულება 194,456 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე. ხელშეკრულების ტექნიკური პირობების მიხედვით, სამუშაოთა შემადგენლობა ითვალისწინებს ქალაქის ტერიტორიაზე არაასფალტირებული ქუჩების მოვლა-შენახვას, მერიის მიერ მითითებული

[20]SPA 160028758.

ქუჩების მოხრეშვა-მოშანდაგების შემდეგ, მთელი წლის განმავლობაში აღნიშნული ქუჩების გამართულ მდგომარეობაში ყოფნას და არაასფალტირებული ქუჩების ორმოების სამუშაოებს, შემდეგი ტექნოლოგიური პირობებით: ღრმა ორმოებში პირველად ქვიშა-ხრეშოვანი (ბალასტი) ნარევის ჩაყრას, დატკეპნას და ზემოდან 0-40 ფრაქცია ქვიშა-ღორღოვანი ნარევის გამოყენებას, საშუალო სიღრმის ორმოების მქონე ქუჩებში, ჯერ გრეიდერის საშუალებით დამუშავებას და შემდგომ 0-40 ფრაქციის ქვიშა-ღორღოვანი ნარევით მოშანდაგებას. შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, სამუშაოთა შემსრულებელი კომპანიის მიერ ტექნოლოგიური და საგარანტიო პირობები შესრულებულია, თუმცა აუდიტის პერიოდში აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულებები ვერ იქნა წარმოდგენილი. ამასთანავე, აღნიშნული ხელშეკრულების ანალოგიური ხელშეკრულება 2018 წელსაც არის გაფორმებული, თუმცა, მიმდინარე აუდიტის დროს ჩატარებული დათვალიერების შედეგად გამოვლინდა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ფაქტები.

სურათი N 7 . ქ. ბათუმი, დიმიტრი სვიშევსკისა და გიორგი ბრწყინვალის ქუჩები

ასფალტირებული ქუჩების სარემონტო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით[21] შპს „გზებთან“ გაფორმებულია ხელშეკრულება, 1,204,930 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე. ხელშეკრულების ტექნიკური პირობების მიხედვით, ღრმა ორმოების შესაკეთებლად გამოყენებული უნდა იქნეს 5-20 ფრაქციის ღორღი. ღორღი უნდა იყოს გარეცხილი, შესაკეთებელი ორმოს ასფალტის კიდეები დამუშავებული უნდა იყოს ფრეზით ან კომპრესორით, ორმოს ძირი უნდა იყოს ცხელი ბიტუმის მასით მოსხმული, უნდა შეივსოს ასფალტის მასით და დაიტკეპნოს მექანიკური სატკეპნით. ქალაქის ქუჩებში დაგებული რკინა-ბეტონის ფილების შეკეთებისათვის (ზომით 6x2 მ) უნდა მოხდეს ფილების დემონტაჟი, 5 სმ სისქის 0-3 ფრაქციის ქვიშის საფუძვლის მოწყობა, დემონტირებული ფილის მონტაჟი. ამასთანავე, სატენდერო და სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად, საგარანტიო პერიოდი შეადგენს სამუშაოების დასრულებიდან 12 თვეს. შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, სამუშაოთა შემსრულებელი კომპანიის მიერ ტექნოლოგიური და საგარანტიო პირობები შესრულებულია, თუმცა აუდიტის პერიოდში აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულებები ვერ იქნა წარმოდგენილი. ამასთანავე, მიმდინარე აუდიტის დროს

[21] SPA160028749.

ჩატარებული დათვალიერების შედეგად გამოვლინდა აღნიშნული პირობების შეუსრულებლობისა და გზების მნიშვნელოვანი დაზიანების ფაქტები.

სურათი 8. ქ. ბათუმი, პეტრე ბაგრატიონის ქუჩის გზის საფარი

აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული დარღვევა-ნაკლოვანებები ასახულია აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული წინა პერიოდის აუდიტის ანგარიშებში და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები, თუმცა მდგომარეობა მათ გამოსასწორებლად არ შეცვლილა და საკითხი კვლავ აქტუალურია.

გარემოება 2. მრავალბინიანი სახლების ეზოებში კორდის დაგების სამუშაოების შესყიდვის მიზნით, შპს „აგროდეკორსერვისთან“ გაფორმებულია ხელშეკრულება[22] 45,600 ლარის ღირებულებით. სატენდერო და სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად, სამუშაოთა შემსრულებელ კომპანიას ევალებოდა ნიადაგის (გრუნტის) მოჭრა, გატანა, ტერიტორიის მოსწორება და მომზადებულ ტერიტორიაზე მწვანე საფარის (კორდის) დაგება. კორდის მინიმალური ზომა უნდა ყოფილიყო 25 სმ x 25 სმ და არ უნდა ყოფილიყო გარეული სარეველა მცენარე. ამასთანავე, საცხოვრებელი სახლების ეზოებსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე კორდის მოწყობის სამუშაოების წარმოებას მიმწოდებელი განახორციელებდა სახელშეკრულებლო მოცულობის ფარგლებში (3800 კვ.მ), შემსყიდველის მიერ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

დამკვეთის, ა(ა)იპ – „ბათუმის კორპუსის“ მიერ შემსრულებელზე გაგზავნილი წერილებისა და ხელშეკრულების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშების (ფორმა N2) შესაბამისად, კორდის დაგების სამუშაოები შესრულებულია სრული მოცულობით, თუმცა აღნიშნულ ანგარიშებში არ არის მითითებული მისამართი, სადაც შესრულდა კორდის დაგების სამუშაოები. მიმდინარე აუდიტის დროს ჩატარებული დათვალიერების შედეგად გამოვლინდა სამუშაოთა უხარისხოდ შესრულების ფაქტები, რაც მოუსწორებელ ტერიტორიაზე უხარისხო (სარეველებით დაფარული) კორდის დაგებაში გამოიხატება.

[22] NAT 170006518.

სურათი N8 . დაბა ჩაქვი, ქსენია ბახტაძის ქ. N7 და ქ. ბათუმი, თამარ მეფის დასახლება N44 -ში მოწყობილი გაზონები

დასკვნა: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისა და ა(ა)იპ – „ბათუმის კორპუსის“ შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებაზე არასათანადო მონიტორინგის შედეგად, შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე, ანაზღაურებულია 1,444,986 ლარის ღირებულების უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები, რაც საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიან ხარჯვაზე მიუთითებს.

რეკომენდაცია: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ ეფექტიანი შიდა კონტროლის მექანიზმების შემუშავებით, უზრუნველყოს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების სათანადო მონიტორინგი და შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების საფუძველზე განახორციელოს შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების ანაზღაურება. ამასთანავე, არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტმა გამოიკვლიოს მათი გამომწვევი მიზეზები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ხე-მცენარეების შესყიდვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

გარემოება: ა(ა)იპ – ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურსა და შპს „გრინ გორგიას“ შორის, 2017 წლის 24 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება[23] ხე-მცენარეებისა და ბუჩქების მიწოდებასთან დაკავშირებით. ხელშეკრულება, რომლის ღირებულებაც 160,000 ლარს შეადგენდა, ითვალისწინებდა 40 სხვადასხვა დასახელების ხე-მცენარის მიწოდებას. წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად ირკვევა, რომ ხე-მცენარეები მიწოდებულია დადგენილ ვადაში სრული ოდენობით და აღრიცხულია ბუღალტრულად, თუმცა აუდიტის პერიოდში ა(ა)იპ – ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მათი ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია, რაც ხე-მცენარეების მიზნობრივად გამოყენების რისკებს წარმოშობს. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ექვსი თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გამხმარი მცენარეების შეცვლა იმავე რაოდენობისა და სახეობის მცენარეებით. სამსახური არ აწარმოებდა მიღებული ხე-მცენარეების მდგომარეობის ინსპექტირებას და შესაბამისად, აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი

[23] NAT 170002399. N59, 24.04.2017.

ინფორმაცია გამხმარი ხე-მცენარეების რაოდენობის შესახებ. ამასთანავე, მოპოვებული[24] ინფორმაციის შესაბამისად, საგარანტიო პერიოდში დაფიქსირდა შესყიდული ხე-მცენარეების ხმობის ფაქტები, რასაც 2017 წლის 19 ივლისს სამსახურის შესაბამისი პასუხიმგებელი პირების მიერ შედგენილი აქტიც ადასტურებს. აღნიშნული აქტის მიხედვით, საგარანტიო პერიოდში გამხმარია 35 ერთეული, 3,500 ლარის სახელშეკრულებო ღირებულების მცენარე[25], თუმცა სამსახურს მიმწოდებლის მიმართ არ დაუყენებია მოთხოვნა მათ შეცვლასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ სამსახურის მიერ 2017 წელს არ ჩატარებულა ბალანსზე რიცხული ხე-მცენარეების ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც უცნობია 829,893 ლარის საბალანსო ღირებულების მცენარეების მდგომარეობა.

დასკვნა: სამსახურის შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს მიღებული აქტივების სრულყოფილ აღრიცხვასა და მიწოდებულ აქტივებთან მიმართებით არსებული ხარვეზების დროულ გამოვლენასა და სათანადო რეაგირებას, რაც საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანად ხარჯვის რისკებს წარმოშობს.

რეკომენდაცია: ა(ა)იპ – ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურმა, უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს ბალანსზე რიცხული კულტივირებული აქტივების სრულყოფილი ინვენტარიზაცია, რომლის შედეგების გათვალისწინებით, დაისვას შესაბამისი პირების პასუხიმგებლობის საკითხი. ამასთანავე, შეიმუშაოს და დანერგოს შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს არსებული და შეძენილი კულტივირებული აქტივების სათანადო აღრიცხვასა და დანიშნულებით გამოყენებას.

გაუთვალისწინებელი ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

გარემოება: ა(ა)იპ – ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურმა, საჩითილე-სასათბურე მეურნეობის შენობა-ნაგებობის სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე[26] ხელშეკრულება[27] გაუფორმა შპს I.I.B Group-ს. ხელშეკრულება, რომლის ღირებულებაც 318,017 ლარით განისაზღვრა, ითვალისწინებდა გაუთვალისწინებელ სამუშაოებს შესასრულებელ სამუშაოთა ღირებულების 5%-ის ოდენობით, რაც ნომინალურ ღირებულებაში 12,832 ლარს შეადგენს. შესრულებული სამუშაოების ანგარიშების (ფორმა N2) შესაბამისად ირკვევა, რომ გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულება ათვისებულია სრულად, თუმცა აუდიტის პერიოდში აღნიშნულთან დაკავშირებით, წინასწარი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ იქნა წარმოდგენილი. ამასთანავე, 3 შემთხვევაში

[24] შესაბამისი პასუხისმგებელი პირების გამოკითხვების შედეგები.
[25] ღვია პირამიდული „ბლუ არუ“.
[26] NAT 170005697.
[27] N84, 05.07.2017.

გაუთვალისწინებელ სამუშაოებში ჩათვლილია ისეთი სამუშაოები, რომლებიც ხელშეკრულების ძირითადი ხარჯთაღრიცხვითაც არის გათვალისწინებული.

ცხრილი N 6. გაუთვალისწინებელი ხარჯების სახით ანაზღაურებული თანხების შესახებ

N	სამუშაოთა დასახელება	ძირითადი ხარჯთაღრიცხვით ანაზღაურებული თანხა	გაუთვალისწინებელი ხარჯების სახით ანაზღაურებული თანხა
1	დიზელ-გენერატორის რეაბილიტაცია	1,402	944
2	ნახშირის ქვაბის რეაბილიტაცია	1,402	826
3	ქვაბში ნახშირის შესატანი შნეიკი	1,402	1,062
	ჯამი:	4,206	2,832

როგორც ცხრილიდან ჩანს, ერთი და იმავე სამუშაოების ანაზღაურება განხორციელებულია ხელშეკრულების როგორც ძირითადი, ასევე გაუთვალისწინებლი ხარჯებიდან. შედეგად, ბიუჯეტიდან ზედმეტად გადახდილია 2,832 ლარი.

დასკვნა: ა(ა)იპ – ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ გაუთვალისწინებელი ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით არსებული რეგულაციების გაუთვალისწინებლობის შედეგად, შენობა-ნაგებობის სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოების შემსრულებელ კომპანიაზე ზედმეტად გადახდილია 2,832 ლარი.

რეკომენდაცია: ა(ა)იპ – ბათუმის გამწვანებისა და ლანდშატური დაგეგმარების სამსახურმა უზრუნველყოს გაუთვალისწინებელი ხარჯების სახით უსაფუძვლოდ გადარიცხული თანხის ბიუჯეტის ანგარიშზე დაბრუნება. ამასთანავე, შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის გამოყოფილი სახსრების სამუშაოთა მიმდინარეობის პროცესში გამოყენების აუცილებლობის წინასწარ დასაბუთებულობას.

გარემოება 7. დაბა ჩაქვში მდებარე 177,073 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, ქალაქ ბათუმისათვის ახალი სასაფლაოს მოსაწყობად, ა(ა)იპ – ბათუმის სასაფლაოების მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში[28] გამარჯვებულად დასახელდა შპს „მამისონი“, რომელთანაც 2015 წლის 29 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება 3,390,000 ლარზე. სასაფლაოების მოწყობის სამუშაოები წარმოებდა შპს „ვეგასგან“ შეძენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად[29], რომლის მიმდინარეობაზეც ტექნიკურ ზედამხედველობას ი/მ მურად ბოლქვაძე აწარმოებდა[30]. სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გამოვლენილი ხარვეზების გასწორების მიზეზებით, ხელშეკრულებაში განხორციელებული

[28] SPA150015882. ხელშეკრულება N 27, 29.07.2015.
[29] საპროექტო დოკუმენტაცია შესყიდულია 2014 წლის 10 ივლისის N36 ხელშეკრულების საფუძველზე. ღირებულება – 27,500 ლარი.
[30] SPA 150006472.

ცვლილებების შედეგად[31], სამუშაოთა შესრულების ვადამ, რომელიც 2017 წლის 29 იანვრამდე პერიოდით იყო განსაზღვრული, 2018 წლის 1 იანვრამდე გადაიწია. ამასთანავე, ხარჯთაღრიცხვაში განხორციელებული ცვლილებებით, რომელთა ჯამური ღირებულება სახელშეკრულებო ღირებულების 55,9 პროცენტია, შეიცვალა ხარჯთაღრიცხვის 149 პუნქტის პარამეტრები და დაემატა 738,828 ლარის ღირებულების სრულიად ახალი სამუშაოები.

2017 წლის იანვარ-თებერვალში, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ზემოქმედების შედეგად განხორციელდა პროფილირებული ტერიტორიის ეროზირება, რამაც ტერიტორიის დახრამვა და ხევების გაჩენა გამოიწვია. შექმნილი პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, კონტრაქტორი კომპანიის მიერ მოწვეული გეოლოგის დასკვნის საფუძველზე, ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული რიგი სამუშაოების ხარჯზე[32], დამატებულ იქნა ახალი სამუშაოები. კერძოდ: 5-70 სმ კალიბრის ყორე-ქვის შემოტანა მოწყობით, წყლის წნევის ჩამქრობი ჭების, წყალგამტარი მილისა და წყალსაგდები არხის მოწყობა. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის[33] შესაბამისად, 706,274 ლარის ღირებულების სამუშაოები შესრულებულია სრულად, თუმცა მდგომარეობა ტერიტორიის ეროზირების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა.

სურათი N 9. ქალაქ ბათუმის ახალი სასაფლაოების ტერიტორიაზე არსებული ეროზირებული ნიადაგები

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები, თუმცა არასწორად შედგენილი საპროექტო დოკუმენტაციის გამო, 36,553 ლარის სახელშეკრულებო ღირებულების წყალმომარაგების სისტემამ ვერ უზრუნველყო ობიეტისათვის წყლის მიწოდება, რისთვისაც საჭირო შეიქნა 87,197 ლარის ღირებულების სამუშაოების დამატებით შესყიდვა[34], რომელიც შპს „ქედესთან“ გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, 2018 წლის 10 ნოემბერს დასრულდა. აღსანიშნავია, რომ უხარისხოდ შესრულებული საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდებისთვის, პროექტანტი კომპანიის პასუხიმგებლობის საკითხი არ განხილულა.

[31] ხელშეკრულებაში განხორციელებულია 9 ცვლილება, რომელთაგან, 6 – ხარჯთაღრიცხვის პარამეტრების ცვლილებებს ეხება.

[32] ხარჯთაღრიცხვიდან სრულად ამოღებულია ელექტრო-ტექნიკური, ფილტრაციის დანადგარების მოწყობის, ტრიტორიის კეთილმოწყობისა და მოსაცდელების მოწყობის სამუშაოები.

[33] N16, 2017 წლის 31 ოქტომბერი.

[34] NAT 180009909.

დასკვნა: ა(ა)იპ – ბათუმის სასაფლაოების მიერ შექმნილმა შიდა კონტროლის სისტემამ ვერ უზრუნველყო უხარისხოდ შესრულებული საპროექტო სამუშაოების დროული გამოვლენა და სათანადო რეაგირება, რის გამოც ვერ ხერხდება 3,390,000 ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტის ექსპლუატაციაში შესვლა. ამასთანავე, მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის არასრულფასოვნად შესწავლის შედეგად გაწეულია 706,274 ლარის არაეფექტიანი ხარჯი, რამაც 2018 წლისათვის 87,197 ლარის ღირებულების სამუშაოების დამატებით შესყიდვა განაპირობა და შესაძლოა, გახდეს ბიუჯეტიდან თანხების დამატებით გამოყოფის საფუძველი.

რეკომდაცია: ა(ა)იპ – ბათუმის სასაფლაოების ადმინიტრაციამ და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ, ერთობლივად შეისწავლოს ქალაქ ბათუმისათვის ახალი სასაფლაოს მშენებლობის პროცესში დაშვებული ხარვეზების გამომწვევი მიზეზები და მიღებული შედეგების გათვალისწინებით განახორციელოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი ღონისძიებები. ამასთანავე, შემუშავებულ და დანერგილ იქნეს შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც დროულად და სრულად უზრუნველყოფს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროცესში დაშვებული ხარვეზების გამოვლენასა და სათანადო რეაგირებას.

გამარტივებული წესით შესყიდულ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის სამართლებრივი აქტების შესაბამისად[35], 2012 წლის 1 ივლისის შემდეგ, გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება მიმწოდებელს უნდა აუნაზღაურდეს შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასის ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. აღნიშნული გულისხმობს სამუშაოს ანაზღაურებას რეალურად გაწეული ხარჯების შესაბამისად, რაც შესაძლებელია დადასტურდეს სამუშაოს შესრულების პროცესში შედგენილი სასაქონლო ზედნადებით, ანგარიშფაქტურებით, ხელფასის უწყისებით, შესყიდვის აქტებით, იჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულებებით და სხვა. ამასთანავე, სამშენებლო სამუშაოების საწყისი სავარაუდო ღირებულების დასადგენად სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში საერთო სამშენებლო სამუშაოებზე ზედნადები ხარჯების ზღვრული ოდენობა განისაზღვრა არა უმეტეს 10%-ისა.

გარემოება 1: ა(ა)იპ – „ბათუმის კორპუსმა“ 2017 წელს სამშენებლო სამუშაოების მიწოდებაზე გააფორმა 3 გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით – 184,655 ლარი. ხელშეკრულებების საკასო ხარჯმა 173,248 ლარი შეადგინა. ხელშეკრულებები სამივე

[35] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილება; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის N 1-1/1463 ბრძანება.

შემთხვევაში გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე გაფორმდა.

ცხრილი N 7. გამარტივებული შესყიდვის ფორმით შესყიდული სამუშაოები (ლარი)

N	შესყიდული სამუშაოს დასახელება	მიმწოდებელი	ხელშეკრულების ნომერი და თარიღი	ხელშეკრულების ღირებულება	ანაზღაურებული თანხა
1	ქალაქ ბათუმში, აფხაზეთის ქ. N9-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სახურავის გადახურვის სამუშაოები	ი/მ ჯემალ ირემაძე	N55 27.04.2017	17,311	17,064
2	ქალაქ ბათუმში, ა. შაინიძის ქ. N9-ში, აფსაროსის გზატკეცილი მე-3 შესახვევი N5 და თამარ მეფის დასახლება N29-ში მდებარე სახლების სახურავის გადახურვის სამუშაოები	ი/მ ჯემალ ირემაძე	N64. 15.05.2017	29,648	27,442
3	ქალაქ ბათუმში, აფხაზეთის ქ. N9-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სახურავის გადახურვის სამუშაოები	შპს „გზა“	N93 03.08.2017	137,696	128,742
	ჯამი:			**184,655**	**173,248**

ხელშეკრულების შესრულების დოკუმენტაციის შესწავლით გაირკვა, რომ ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში 173,248 ლარი გადარიცხულია ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის პირობებში.

გარემოება 2. ა(ა)იპ – „ბათუმის კორპუსის“ მიერ 2017 წელს გამოცხადებული ტენდერებიდან, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისას, 13 შემთხვევაში ზედნადები ხარჯები ნაცვლად 10%-ისა, განსაზღვრულია 12%-ით, რის შედეგადაც შესყიდვის სავარაუდო ღირებულება უსაფუძვლოდ გაზრდილია 11,700 ლარით.

ცხრილი N8. სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის შესახებ

N	შესყიდვის ნომერი	სავარაუდო ღირებულება	ხელშეკრულების ნომერი და თარიღი	ნორმატივებით გაანგარიშებული სავარაუდო ღირებულება	სხვაობა
1	160005066	49,100	N24, 13.02.2017	47, 800	1,300
2	160005001	33,600	N26, 14.02.2018	32,400	1,200
3	170000391	18,100	N29, 28.02.2017	17,500	600
4	170001256	23, 100	N37, 27.03.2017	22,800	300
5	170002131	30 ,00	N48, 13.04.2017	29,400	1,100
6	170003068	49,000	N61, 4.05.2017	47,500	1,500
7	170003940	35,800	N68, 19.05.2017	34,500	1,300
8	170008142	65,900	N95, 04.08.2017	64,500	1400
9	170007590	24,900	N101, 14.08.2017	24,400	500
10	170007591	24,700	N105, 16.08. 2017	24,100	600
11	170007774	13,900	N107, 24.08.2017	13,600	300
12	170010131	19,100	N123, 26.09.2017	18,100	1,000
13	170012138	30,500	N131, 21.11.2017	29,900	600
	ჯამი:	**418,200**		**406,500**	**11, 700**

დასკვნა: ა(ა)იპ – „ბათუმის კორპუსის“ მიერ გამარტივებული შესყიდვის ფორმით შესყიდული სამშენებლო სამუშაოების ღირებულების სახით, ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის პირობებში, გადახდილია 173,248

ლარი. ამასთანავე, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება უსაფუძვლოდ გაზრდილია 11,700 ლარით, რაც საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის რისკებს წარმოშობს.

რეკომენდაცია: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა, სამშენებლო სამუშაოების მიწოდებაზე გაფორმებული გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებების ფარგლებში, ანგარიშსწორება განახორციელონ მხოლოდ მიმწოდებლების მიერ ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის პირობებში. ამასთანავე, შეიქმნას შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ზუსტ და საფუძვლიან განსაზღვრას.

აუდიტორთა ხელმოწერა:	ხელმოწერა
სახელი, გვარი	
გოჩა შარაბიძე წამყვანი აუდიტორი	
ზვიად ვარშალომიძე აუდიტორი	
23.01.2019	

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, ზ9. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38
SAO.GE